




ავტორები: თორნიკე სურგულაძე, დავით კეშელავა

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები: 2024 წლის აგვისტოს მშპ-ის ზრდა განპირობებულია საკრედიტო ექსპანსიითა და სავაჭრო მოგებით

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი 2024 წლის მესამე და მეოთხე კვარტლებისთვის. წარმოგიდგენთ ამ თვის მიგნებებს.

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2024 წლის აგვისტოს რეალური მშპ-ის ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა, რომელიც 12%-ს შეადგენს. ამასთან, 2024 წლის პირველი კვარტლის შეფასებულმა ზრდამ 8.4% შეადგინა, მეორე კვარტლის ზრდამ – 9.6%. შედეგად, 2024 წლის იანვრიდან აგვისტომდე საშუალო რეალური მშპ-ის ზრდამ 10% შეადგინა.
- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 2024 წლის მესამე კვარტალში 7.9%-ით, ხოლო მეოთხე კვარტალში 6.4%-ით გაიზრდება. თუმცა, ბოლოდროინდელი ტენდენციების გათვალისწინებით, ეს პროგნოზები შეიძლება



კონსერვატიულ შეფასებებს წარმოადგენდეს და მოსალოდნელია, რომ რეალური ზრდა მოლოდინებს გადააჭარბებს.

- აგვისტოს მონაცემებზე დაყრდნობით, 2024 წლის წლიური ზრდის პროგნოზი 8.1%-ს შეადგენს.

აგვისტოს მონაცემებზე დაყრდნობით მშპ-ს ზრდის პროგნოზის განმარტობა
ცვლადები:

დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. პირველი ჯგუფი ცვლადებისა, რომლებმაც ზომიერი გავლენა იქონიეს ჩვენს პროგნოზზე, კომერციულ ბანკებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებია. ეროვნული ვალუტის დეპოზიტების თითქმის ყველა ძირითადმა კატეგორიამ წლიური ზრდა განიცადა. კონკრეტულად, ეროვნულ ვალუტაში მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიურად 15%-ით, ხოლო ვადიანი დეპოზიტები წლიურად 29.7%-ით გაიზარდა. შედეგად, ეროვნულ ვალუტაში მთლიანი დეპოზიტები წლიურ ჭრილში 20.5%-ით გაიზარდა. *მთლიანობაში, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზში დადებითი გავლენა ჰქონდა.*

უცხოურ ვალუტაში მთლიანი დეპოზიტები წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 15.1%-ით გაიზარდა. იმავე პერიოდში, უცხოური ვალუტის მიმდინარე ანგარიშები წლიურად 9.9%-ით, მოთხოვნამდე დეპოზიტები კი 3%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, უცხოური ვალუტის ვადიანმა დეპოზიტებმა მნიშვნელოვანი წლიური ზრდა – 32.2% აჩვენა. *თუმცა, ჩვენი მოდელის მიხედვით, უცხოური ვალუტის დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს კვლავ უარყოფითი გავლენა ჰქონდათ რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

სავაჭრო ბალანსი. 2024 წლის აგვისტოში საქართველოს ექსპორტი წლიურად 30.1%-ით გაიზარდა. ეს ზრდა ძირითადად ავტომობილების ექსპორტის/რეექსპორტის (წლიურად 49.4%-ით), ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების (წლიურად 494.9%-ით), არადენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტიანი სასმელების, ლიქიორებისა და სხვა სპირტიანი სასმელების (წლიურად 53.3%-ით) და ფეროშენადნობების (წლიურად 392.7%-ით) მნიშვნელოვანი ზრდით იყო განპირობებული.

ამ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 4.8%-ით შემცირდა, რაც ავტომობილების იმპორტის/რეიმპორტის (წლიურად 35.5%-ით), ნავთობის აირებისა და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადების (წლიურად 24%-ით) და დოზირებული მედიკამენტების (წლიურად 1.7%-ით) წლიური კლებით იყო განპირობებული. ამის საპირისპიროდ, გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (წლიურად 2.4%-ით) და მონაცემთა ავტომატური დამუშავების მანქანებისა და მათი ბლოკების (წლიურად 15.3%-ით) იმპორტი/რეიმპორტი. **შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 23%-ით შემცირდა და 702 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.** *მთლიანობაში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა დადებითი გავლენა იქონიეს მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*



ფულადი გზავნილები. აგვისტოში ფულადი გზავნილები წლიურად **0.3%-ით** გაიზარდა და **280 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა**. ამ კლებაში ძირითადი წვლილი შეიტანა რუსეთის ფედერაციამ (წლიურად -40.8%, -8.5 პროცენტული პუნქტი) და ყაზახეთმა (წლიურად -56.9%, -3.7 პროცენტული პუნქტი). საპირისპიროდ, ფულადი შემოდინება გაიზარდა აშშ-დან (წლიურად +20.6%, 2.9 პროცენტული პუნქტი), იტალიიდან (წლიურად +9.1%, 1.4 პროცენტული პუნქტი), გერმანიიდან (წლიურად +23.1%, 1.7 პროცენტული პუნქტი), საბერძნეთიდან (წლიურად +22.2%, 1.6 პროცენტული პუნქტი) და ისრაელიდან (წლიურად +23.1%, 1.3 პროცენტული პუნქტი). ფულადი შემოდინების შემცირება კვლავ საბაზო ეფექტს უკავშირდება. 2022 წელს უკრაინაში რუსეთის ომის შემდეგ საქართველოში რუსი მოქალაქეების მნიშვნელოვანი შემოდინება მოხდა, რომლებმაც შემდგომ თავიანთი ხარჯებისთვის ფული გადმორიცხეს. აღნიშნული მოვლენის გარდამავალი ეფექტის შემცირებასთან ერთად, საქართველო უზრუნველყოფს ფულადი გზავნილების შემოდინების ჩვეულ დონეს. *მთლიანობაში, ჩვენი მოდელის მიხედვით, ფულადმა გზავნილებმა უარყოფითი გავლენა იქონიეს ზრდის პროგნოზზე.*

გაცვლითი კურსი. აგვისტოში ქართული ლარი გამყარდა აშშ დოლართან (თვიურად 1.1%-ით), რუსულ რუბლსა (თვიურად 6.3%-ით) და თურქულ ლირასთან (თვიურად 4%-ით) მიმართებაში, ხოლო გაუფასურდა ევროსთან (თვიურად 1.1%-ით) მიმართებაში. ამასთან, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი თვიურად **0.8%-ით** გამყარდა და წლიურად **9.3%-ით** გაუფასურდა. ქართული ლარის გამყარება დადებითად მოქმედებს საქართველოს მოსახლეობაზე იმპორტზე მაღალი დამოკიდებულებისა და ვალის დოლარიზაციის მნიშვნელოვანი დონის გამო (ბიზნესების მნიშვნელოვან ნაწილს შემოსავალი და ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაში აქვს). თუმცა, ამავდროულად, ის ამცირებს ექსპორტის კონკურენტუნარიანობას. *მთლიანობაში, რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსთან დაკავშირებულმა ცვლადებმა უარყოფითი გავლენა იქონიეს რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

სამომხმარებლო სესხი. აგვისტოში კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხის მთლიანი მოცულობა წლიურად **26.2%-ით** გაიზარდა. მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხის მოცულობა წლიურად, მნიშვნელოვნად, **77.3%-ით** გაიზარდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდით, რომლებიც წლიურად, შესაბამისად, **29.5%-ითა და 305.8%-ით** გაიზარდა. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ გაცემული გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა წლიურად **24.9%-ით** გაიზარდა. *თუმცა, ჩვენი მოდელის მიხედვით, სამომხმარებლო სესხებთან დაკავშირებულმა ცვლადებმა უარყოფითი გავლენა იქონიეს ზრდის პროგნოზზე.*

ინფლაცია. აგვისტოში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია **1%-ს** გაუტოლდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამიზნე **3%-ს**. საერთაშორისო სასაქონლო ფასების სტაბილურობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციური წნეხის შემცირებაში. თუმცა, მოსალოდნელია, რომ ინფლაცია თანდათანობით დაუზრუნდება საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები (**Euro Brent Spot Price**) წლიურად **6.7%-ით** შემცირდა.



თუმცა, ინფლაციური რისკები კვლავ არსებობს. *მთლიანობაში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირე დადებითი გავლენა იქონიეს მშპ-ის პროგნოზზე.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი **ახალი ეკონომიკის სკოლის** მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.